

**შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი  
უცხოური ენების ჯგუფი**

**როგორ მოვემზადოთ პედაგოგთა  
სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის**

**გერმანული ენა**

საგამოცდო კრებული წარმოადგენს „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ საკუთრებას და დაცულია საქართველოს კანონით - „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“. „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ ნებართვის გარეშე დაუშვებელია ტექსტში რაიმე ცვლილების შეტანა, რეპროდუქცია, თარგმნა და სხვა საშუალებებით (როგორც ბეჭდვითი, ასევე ელექტრონული ფორმით) გავრცელება, აგრეთვე იკრძალება საგამოცდო კრებულის გამოყენება კომერციული მიზნებისათვის.

## სარჩევი

შესავალი	3
საგამოცდო პროგრამა	4
ტესტის სტრუქტურა და ქულათა განაწილება	6
რეკომენდაციები	7
მოსმენის ნაწილი	7
წერის ნაწილი	8
ლაპარაკის ნაწილი	8
მინიმალური ზღვრები და გამსვლელი ქულები	10
შეფასების სქემა წერის დავალებისთვის	12
შეფასების სქემა ლაპარაკის ნაწილისთვის	13
ლაპარაკის ნაწილის ნიმუში	14
პასუხების მონიშვნის ინსტრუქცია	15
საგამოცდო ტესტის ნიმუში	17
ტესტის პასუხები და ჩანაწერის ტექსტები მოსმენის დავალებისათვის	33

## შესავალი

წინამდებარე კრებულის დანიშნულებაა დაწყებითი, საბაზო და საშუალო სკოლის გერმანული ენის პედაგოგებს გააცნოს სასერტიფიკაციო გამოცდის მოთხოვნები და საგამოცდო პროგრამა. კრებულში ასევე მოცემულია კონკრეტული რეკომენდაციები მოსმენისა და ლაპარაკის დავალებებთან დაკავშირებით.

საგამოცდო დავალებების სირთულის დონე და მოთხოვნები შესაბამისობაშია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებულ ეროვნული სასწავლო გეგმებისა და მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მოთხოვნებთან.

საგამოცდო ტესტის ფორმატი და ცალკეული დავალებების ტიპები გამოიცადა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. აპრობაციების შედეგების ანალიზისა და საგნობრივ ექპერტებთან ინტენსიური მუშაობის შედეგად შემუშავდა ტესტის არსებული ფორმატი.

ვფიქრობთ, ამ კრებულში გამოქვეყნებული მასალა სათანადო დახმარებას გაუწევს გერმანული ენის პედაგოგებს სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის მომზადებაში.

**გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ ერთ სიახლეს:** მოსმენის პირველი დავალება გახდა ღია, რაც იმას ნიშნავს რომ მასწავლებელს მოეთხოვება სწორი პასუხის არა შემოხაზვა, არამედ დაწერა. დასაწერი სიტყვების რაოდენობა შეზღუდულია, რაც მითითებული იქნება კონკრეტული დავალების ინსტრუქციაში. გაითვალისწინეთ ისიც, რომ თქვენს მიერ დაწერილ სიტყვებში დაშვებული მართლწერის შეცდომის შემთხვევაში პასუხი შეცდომად ჩაითვლება. (იხ. საგამოცდო ტესტის ნიმუში და პასუხები).

**2014 წლის საგამოცდო პროგრამა  
დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის  
გერმანული ენის მასწავლებლებისთვის**

<b>არსებითი სახელი</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ბრუნვა; ბრუნება; სქესი</li> <li>• მრავლობითი რიცხვის წარმოება</li> </ul>
<b>არტიკლი</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• განსაზღვრული, განუსაზღვრელი, ნულოვანი</li> </ul>
<b>ნაცვალსახელი</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• პირის, კუთვნილებითი, ჩვენებითი, პირნაკლი, კითხვითი, მიმართებითი, განუსაზღვრელი, უკუქცევითი, უარყოფითი</li> </ul>
<b>ზედსართავი სახელი</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ბრუნება</li> <li>• შედარების ხარისხები</li> </ul>
<b>რიცხვითი სახელი</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• რაოდენობითი, რიგობითი, წილადი</li> </ul>
<b>წინდებული</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მიცემითი ბრუნვის წინდებულები</li> <li>• ნათესაობითი ბრუნვის წინდებულები</li> <li>• ბრალდებითი ბრუნვის წინდებულები</li> <li>• მიცემითი და ბრალდებითი ბრუნვების საერთო წინდებულები</li> </ul>
<b>ზმნა</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სუსტი, ძლიერი, არაწესიერი და შერეული ზმნები;</li> <li>• ზმნის ძირითადი ფორმები; ზმნის უღლება; ზმნის დროის ფორმები</li> <li>• უკუქცევითი, დამხმარე და მოდალური ზმნები;</li> <li>• მოუცილებად- და მოცილებად-თავსართიანი ზმნები; კაუზატიური ზმნები</li> <li>• თხრობითი, ბრძანებითი, კავშირებითი კილო</li> <li>• ვნებითი გვარი; ინფინიტივი zu ნაწილაკით და მის გარეშე</li> <li>• ინფინიტიური კონსტრუქციები; მიმღეობა I და II; ზმნის მართვა</li> </ul>
<b>ზმნიზედა</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• დროის, ადგილის, ვითარების; ზმნიზედის შედარების ხარისხები</li> <li>• ნაცვალსახელური ზმნიზედები</li> </ul>
<b>კავშირი</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მაერთებელი და მაქვემდებარებელი კავშირები</li> </ul>
<b>ნაწილაკი</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• etwa, wohl, denn, doch, eigentlich, bloß, recht, zu, sogar, auch...</li> </ul>
<b>უარყოფა</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• nicht, kein</li> </ul>
<b>სიტყვაწარმოება</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• შედგენილი სიტყვები; გაარსებითება</li> <li>• სიტყვაწარმოება პრეფიქსებით და სუფიქსებით</li> </ul>
<b>მარტივი წინადადება</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• თხრობითი, კითხვითი, ბრძანებითი;</li> <li>• წინადადების წევრები</li> </ul>
<b>რთული წინადადება</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• თანწყობილი, ქვეწყობილი</li> </ul>
<b>ფონეტიკა</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ბგერების და ბგერათშეთანხმებების წარმოთქმა; სიტყვის მახვილი.</li> </ul>
<b>ორთოგრაფია/ პუნქტუაცია</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მართლწერის წესები</li> </ul>

გამოცდაზე მოწმდება უცხოური ენის მასწავლებლის პროფესიული ცოდნა, კერძოდ, მისი

- ენობრივი კომპეტენცია
- უცხოური ენის სწავლების მეთოდივის ცოდნა

მასწავლებელს უნდა შეეძლოს:

- წაიკითხოს შესაბამისი სირთულის (B2) ინფორმაციული, შემეცნებითი ან პროფესიული შინაარსის ტექსტი და გაიგოს მასში მოცემული როგორც ძირითადი აზრი, ასევე ფაქტობრივი ინფორმაცია.
- მოისმინოს შესაბამისი სირთულის ტექსტი (ინტერვიუ, დიალოგი) და გაიგოს მასში მოცემული როგორც ძირითადი აზრი, ასევე ფაქტობრივი ინფორმაცია.
- დაწეროს 180-230 სიტყვიანი თხზულება. მკაფიოდ, თანმიმდევრულად და არგუმენტირებულად გადმოსცეს საკუთარი აზრი მოცემულ თემასთან დაკავშირებით. წერისას გამოხატოს და დაიცვას საკუთარი პოზიცია.
- ილაპარაკოს ბუნებრივად, დაუბრკოლებლად და არგუმენტირებულად მოცემული თემატიკის გარშემო. საუბრისას გამოხატოს და დაიცვას საკუთარი პოზიცია.
- გამოავლინოს უცხოური ენის სწავლების მეთოდივის ძირითადი საკითხების ცოდნა, როგორიცაა, მაგალითად, მოსმენის, კითხვის, წერის და ლაპარაკის უნარების განმავითარებელი დავალებების შერჩევა და შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა; აქტივობების კონკრეტულ მიზნებთან მისადაგება; ენობრივი უნარების სწავლების სტრატეგიების განსაზღვრა; უცხოური ენის გაკვეთილის მიზნებისა და გაკვეთილის შესაბამისი ფაზების სხვადასხვა ტიპის დავალებებთან და აქტივობებთან მისადაგება და ა.შ.

## ტესტის სტრუქტურა და ქულათა განაწილება

ტესტი შედგება ორი ნაწილისგან - საკუთრივი ენობრივი ნაწილისგან, რომელიც ამოწმებს, თუ როგორ ფლობს მასწავლებელი გერმანული ენას და მეთოდური ნაწილისგან, რომელიც ამოწმებს, თუ როგორ ფლობს მასწავლებელი გერმანული ენის სწავლების მეთოდიკას. ქვემოთ მოცემულია საგამოცდო ტესტის სტრუქტურა და ქულათა განაწილება დავალებების მიხედვით.

რა მოწმდება	დავალების ინსტრუქცია	საკითხი	ქულა	ქულათა მაქსიმუმი
ენა				
მოსმენა	მოუსმინეთ ტექსტს და გამოტოვებული ადგილები შეავსეთ სათანადო ინფორმაციით.	12	1	12
მოსმენა	მოისმინეთ ჩანაწერი და 4 მოსაუბრის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს მიუსადაგეთ შესაბამისი წინადადებები.	4	1	4
წაკითხულის გააზრება	წინადადებების ჩამონათვალიდან აირჩიეთ შესაფერისი წინადადება და ჩასვით ტექსტში სათანადო ადგილას.	6	1	6
სიტყვაწარმოება	წაიკითხეთ ტექსტი და გამოტოვებულ ადგილებში ჩასვით სიტყვები სწორ ფორმაში.	8	1	8
წაკითხულის გააზრება	წაიკითხეთ წინადადებები და განსაზღვრეთ სწორია ისინი, თუ მცდარი. მიუთითეთ იმ აზრაცის ნომერი, რომელშიც წინადადებების სისწორე/სიმცდარის დამადასტურებელი ინფორმაციაა მოცემული.	8	1	8
წერა	მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დაწერეთ თხზულება.	1		16
ლაპარაკი	უპასუხეთ დასმულ შეკითხვებს.	5		16
<b>ჯამური ქულა ენობრივი ნაწილისთვის</b>				<b>70</b>
მეთოდიკა				
წარმოთქმა	მეთოდიკის ნაწილის დავალებების ჯამური ქულა შეადგენს 50-ს. დავალებების ნიმუშები მოცემულია.			
შეცდომების გასწორება	შესაძლებელია, რომ ცალკეულ დავალებაში შეიცვალოს საკითხების რაოდენობა. თუმცა მთლიანად მეთოდიკის ნაწილის ჯამური ქულა არ შეიცვლება.			
პრაქტიკული მეთოდიკა				
<b>ჯამური ქულა მეთოდიკის ნაწილისთვის</b>				<b>50 ქულა</b>
მაქსიმალური ქულა მთლიანი ტესტისათვის -120				

პასუხები პედაგოგმა უნდა გადაიტანოს პასუხების ფურცელზე. სწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი.

ტესტის ხანგრძლივობა (ლაპარაკის ნაწილის გარეშე) შეადგენს 4 საათს. ლაპარაკის ნაწილისთვის მასწავლებელს დამატებით მიეცემა დაახლოებით 15 წუთი. ლაპარაკის გამოცდა ტარდება ცალკე, ძირითადი ნაწილისგან განსხვავებულ დროს.

## რეკომენდაციები

### მოსმენის ნაწილი

- ტესტში არის მოსმენის ორი დავალება: პირველი დავალება არის ღია. თქვენ მოგეთხოვებათ, რომ ტექსტის მოსმენისას მოცემული დავალების გამოტოვებულ ადგილებში ჩასვათ განსაზღვრული რაოდენობის სიტყვები (ჩასასმელი სიტყვების რაოდენობა მოცემულია ინსტრუქციაში). მეორე დავალება არის დახურული. თქვენ მოგეთხოვებათ, რომ მოსაუბრებს მიუსადაგოთ მათ მიერ გამოთქმული მოსაზრებები.
- წინასწარ გაეცანით თითოეული დავალების პირობას, რისთვისაც გეძლევათ 30-45 წამი.
- გაითვალისწინეთ, რომ თითოეული დავალების ტექსტს მოისმენთ ორჯერ, რაც თქვენი პასუხის გადამოწმების საშუალებას მოგცემთ.
- დავალება შეასრულეთ მოსმენის დროს. პირველ და მეორე მოსმენას შორის მოცემულია პაუზა (დაახლოებით 30 წამის ხანგრძლივობის). პაუზის დროს კიდევ ერთხელ გადაიკითხეთ როგორც დავალება, ასევე თქვენი პასუხები. ტექსტის მეორე მოსმენისას გადაამოწმეთ თქვენი პასუხები და, საჭიროების შემთხვევაში, შეასწორეთ ისინი.
- მოსმენის პირველი დავალების შემთხვევაში გთხოვთ პასუხების ფურცელზე გადაიტანოთ მხოლოდ თქვენი პასუხები. პასუხების ფურცელზე ტესტიდან ნუ გადაიწერთ ზედმეტ ინფორმაციას (მაგ. პასუხის მომიჯნავე სიტყვებს, ან მთლიან წინადადებას); ყურადღება მიაქციეთ ასევე სიტყვების მართლწერას.
- გახსოვდეთ, რომ პასუხების ფურცელზე ზედმეტი ინფორმაციის გადატანის ან პასუხში დაშვებული მართლწერის შეცდომის შემთხვევაში პასუხი შეცდომად ჩაგეთვლებათ.
- ტექსტის მოსმენის ნაწილის მაქსიმალური ქულაა 16. გამსვლელი ქულაა 6.

აუდიოჩანაწერები კეთდება შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში ენის მატარებლების მიერ.

## წერის ნაწილი

- ტესტში არის წერის ერთი დავალება, რომელიც თქვენგან 180-230 სიტყვიანი თხზულების დაწერას მოითხოვს.
- ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას. დაფიქრდით საკითხის გარშემო. ჩამოწერეთ თემასთან დაკავშირებული ფაქტები, არგუმენტები და ა.შ.
- წერისას ეცადეთ წეროთ არგუმენტირებულად, მოიშველიერ მაგალითები და ფაქტები; ეცადეთ ასევე, რომ გამოიყენოთ მდიდარი ლექსიკა და მრავალფეროვანი გრამატიკული სტრუქტურები. გახსოვდეთ, შეფასებისას ყველაფერ ამას დიდი ყურადღება ექცევა.
- შეასრულეთ დავალება ჯერ ტესტის ბუკლეტში და რედაქტირების შემდეგ, საბოლოო ვარიანტი გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე. სწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი.
- ეცადეთ დაიცვათ სიტყვების რაოდენობის მოთხოვნა (180 - 230 სიტყვა). ნორმაზე მეტი ნაწერის შემთხვევაში იზრდება შეცდომების დაშვების ალბათობა, რაც, ბუნებრივია, მოქმედებს საბოლოო შეფასებაზე. გახსოვდეთ რომ, ენობრივ კომპეტენციასთან ერთად მოწმდება თქვენი უნარი გამოხატოთ პოზიცია მოცემული თემის გარშემო სწორედ მოთხოვნილი სიტყვების რაოდენობის ფარგლებში.
- გთხოვთ გაითვალისწინოთ რომ, არტიკლები, წინდებულები და სხვა ‘პატარა’ სიტყვები ცალკე სიტყვებად ითვლება.
- ნურსად მიუთითებთ თქვენს სახელსა და გვარს. ასეთი ნაწერი არ გასწორდება.
- ტესტის წერის ნაწილის მაქსიმალური ქულაა 16. გამსვლელი ქულაა 6.

ნაწერი ფასდება სპეციალური შეფასების სქემით, რომელიც ოთხი კრიტერიუმისგან შედგება. ესენია:

- შესაბამისობა დავალების მოთხოვნასთან.
- ლოგიკური და სტრუქტურული თანმიმდევრობა.
- ლექსიკური მარაგი.
- გრამატიკული მრავალფეროვნება და სიზუსტე.

იხ. თხზულების დეტალური შეფასების სქემა.

## ლაპარაკის ნაწილი

### ტექნიკური მხარე

- საგამოცდო ტესტის ლაპარაკის ნაწილი ტარდება კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით. მასწავლებლები მუშაობენ ინდივიდუალურად, პერსონალურ კომპიუტერებთან. ისინი ყურსასმენებით ისმენენ დავალებების პირობებს და ასრულებენ შესაბამის მოთხოვნებს. (მაგ., პასუხობენ შეკითხვებს, აღწერენ სიტუაციას და ა.შ.).

- დავალებების მოთხოვნები გამოტანილია კომპიუტერის ეკრანზე. ამგვარად, მასწავლებელს ეძლევა საშუალება, რომ დავალებების მოთხოვნები ერთდროულად მოისმინოს და წაიკითხოს კიდეც.
- ყოველი დავალების შესასრულებლად გამოყოფილია გარკვეული დრო, რომლის გაკონტროლება მასწავლებელს შეუძლია კომპიუტერის ეკრანზე გამოტანილი წამზომის საშუალებით. სალაპარაკო დროის გაკონტროლების საშუალებას იძლევა ასევე სპეციალური ხმოვანი სიგნალი, რომელიც კანდიდატს მიანიშნებს იმაზე, თუ როდის უნდა დაიწყოს და დაასრულოს მან მოცემულ საკითხზე ლაპარაკი.
- აუცილებელი მოთხოვნაა, რომ მასწავლებელმა ილაპარაკოს ხმამაღლა და გარკვევით, რომ ჩანაწერის ცუდმა ხარისხმა არ იმოქმედოს შეფასებაზე.
- მაქსიმალურად გამოიყენეთ ლაპარაკისთვის მოცემული დრო. დაიწყეთ ლაპარაკი შესაბამისი ხმოვანი სიგნალის შემდეგ. გახსოვდეთ, რომ კონკრეტული დავალებისთვის გამოყოფილი დროის არასრული გამოყენება ან დიდი პაუზებით საუბარი ვერ მოგვცემს თქვენი ლაპარაკის უნარის სათანადოდ შეფასების საშუალებას.
- ტესტის ლაპარაკის ნაწილის მაქსიმალური ქულაა 16. გამსვლელი ქულაა 6.

ტესტის ლაპარაკის ნაწილი გრძელდება 13-15 წუთი. აუდიოჩანაწერები კეთდება ენის მატარებლების მიერ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში.

## შინაარსობრივი მხარე

ტესტის ლაპარაკის ნაწილი შედგება 3 ნაწილისაგან.

### ნაწილი 1: კითხვებზე პასუხი

მასწავლებელს ეძლევა ორი შეკითხვა ნაცნობი თემატიკის ირგვლივ. იგი შეკითხვებს პასუხობს თანმიმდევრობით - ჯერ ერთს, შემდეგ მეორეს. თითოეულ კითხვაზე საპასუხოდ გამოყოფილია 30 წამი.

### ნაწილი 2: სიტუაციის აღწერა

მასწავლებელს ეძლევა ერთი სიტუაცია და 3 ან 4 დამხმარე შეკითხვა. მან უნდა აღწეროს სიტუაცია, ან გაიხსენოს მოვლენა და შესაბამისად განავითაროს თემა. პასუხის მოსაფიქრებლად გამოყოფილია 1 წუთი, პასუხისთვის - 2 წუთი.

### ნაწილი 3: არგუმენტირებული მსჯელობა

მასწავლებელს ეძლევა ორი „პრობლემური“ სიტუაცია, სადაც ერთ კითხვაზე ორი მოსაზრებაა გამოთქმული. მასწავლებელმა უნდა აირჩიოს ერთ-ერთი მოსაზრება, გადმოსცეს თავისი დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ და გაამყაროს იგი მაგალითებითა და არგუმენტებით. პასუხის მოსაფიქრებლად გამოყოფილია 30 წამი. თითოეული პასუხისთვის გამოყოფილია 1 წუთი.

## ლაპარაკის ნაწილის სტრუქტურა

ნაწილი	დავალება	საკითხების რაოდენობა	მიზანი / რას ამოწმებს
შესავალი	–	–	ტესტის ფორმატის გაცნობა; ჩანაწერის ხმის, წარმოთქმისა და ა.შ. გათავისება კანდიდატის მიერ.
1	უპასუხეთ შეკითხვებს	2	ნაცნობ, ყოველდღიურ თემებსა და პიროვნულ გამოცდილებაზე აგებულ შეკითხვებზე თანმიმდევრული პასუხის გაცემის უნარი.
2	აღწერეთ სიტუაცია; განავრცეთ თემა.	2	სიტუაციის აღწერის და/ან ახსნის უნარი; მოცემულ თემასთან დაკავშირებით საკუთარ გამოცდილებაზე ლაპარაკის უნარი.
3	არგუმენტირე- ბული მსჯელობა	2	საკუთარი აზრის და საკითხის მიმართ დამოკიდებულების გადმოცემის და არგუმენტაციის უნარი.

ლაპარაკი ფასდება სპეციალური შეფასების სქემით, რომელიც ოთხი კრიტერიუმისაგან შედგება. ესენია:

- გაბმულობა; შესაბამისობა დავალებასთან
- ლექსიკური მარაგი
- გრამატიკული მრავალფეროვნება და სისწორე
- წარმოთქმა

იხ. ლაპარაკის ნაწილის დეტალური შეფასების სქემა.

### მინიმალური ზღვრები და გამსვლელი ქულები

ტესტის წარმატებით ჩასაბარებლად აუცილებელია, რომ კანდიდატმა გადალახოს ტესტის მაქსიმალური ქულის 60%, ანუ, კანდიდატმა უნდა დააგროვოს ტესტის მაქსიმალური ქულის 60% + 1 ქულა. გერმანული ენის ტესტის შემთხვევაში, სადაც მაქსიმალური ქულაა 120, გამსვლელი ქულაა - 73 ქულა ან მეტი.

გარდა ამისა, კანდიდატმა უნდა დააგროვოს მინიმუმ 6 ქულა მოსმენის ნაწილში, მინიმუმ 8 ქულა კითხვის ნაწილში, მინიმუმ 6 ქულა წერის ნაწილში და მინიმუმ 6 ქულა ლაპარაკის ნაწილში.

მეთოდიკის ნაწილს მინიმალური ზღვარი არ აქვს.

მინიმალური ზღვრები და გამსვლელი ქულები გრაფიკულად შეიძლება ასე გამოვსახოთ:

	მაქსიმალური ქულა	გამსვლელი ქულა
მთლიანი ტესტი	120	73 ან მეტი
მოსმენის ნაწილი	16	6 ან მეტი
კითხვის ნაწილი	22	8 ან მეტი
წერის ნაწილი	16	6 ან მეტი
ლაპარაკის ნაწილი	16	6 ან მეტი
მეთოდიკის ნაწილი	50	-

ამგვარად, გამოცდა რომ ჩაბარებულად ჩაითვალოს მასწავლებელს გადალახული უნდა ჰქონდეს 5-ვე მოთხოვნილი ზღვარი: მთლიანი ტესტის, ასევე მოსმენის, კითხვის, წერის და ლაპარაკის ნაწილებში.

**შეფასების სქემა მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდის წერის დავალებისთვის.**

**მაქსიმალური ქულა 16. სიტყვების რაოდენობა - მინიმუმ 180.**

ქულა	შესაბამისობა დავალების მოთხოვნასთან	ლოგიკური და სტრუქტურული თანმიმდევრობა	ლექსიკური მარაგი	გრამატიკული მრავალფეროვნება და სიზუსტე
<b>4</b> <b>ძალიან კარგი</b>	<b>ნაწერი ძალიან კარგია:</b> დავალების მოთხოვნას პასუხობს სრულად და ამომწურავად. მოცემული არგუმენტები მკაფიო და ამომწურავია.	ნაწერის აგებულება ძალიან კარგია; ლოგიკური და თანმიმდევრულია; მაკავშირებლები სწორადაა გამოყენებული.	ლექსიკა მდიდარი და მრავალფეროვანია; პასუხობს მოთხოვნებს. შეცდომა იშვიათია.	გამოყენებულია რთული და მრავალფეროვანი გრამატიკული სტრუქტურები; შეცდომების რაოდენობა ძალიან მცირეა.
<b>3</b> <b>კარგი</b>	<b>ნაწერი კარგია:</b> პასუხობს დავალების მოთხოვნას, თუმცა ზოგ შემთხვევაში ინფორმაცია არასრული ან შეუსაბამოა. არგუმენტები მკაფიოა, თუმცა არ არის ამომწურავი.	ნაწერის აგებულება კარგია, თუმცა ზოგ შემთხვევაში არ არის დაცული ლოგიკური და სტრუქტურული თანმიმდევრობა.	ლექსიკა კარგია; პასუხობს მოთხოვნებს, თუმცა არის სიტყვების არაადეკვატურად გამოყენების რამდენიმე შემთხვევა.	გამოყენებულია საშუალო სირთულის გრამატიკული სტრუქტურები. დაშვებულია რამდენიმე შეცდომა, მაგრამ ეს აზრის გაგებას ხელს არ უშლის.
<b>2</b> <b>საშუალო</b>	<b>ნაწერი საშუალო დონისაა:</b> დავალების მოთხოვნას პასუხობს ნაწილობრივ. ინფორმაცია, უმეტესწილად, არასრული და/ან ბუნდოვანია. მოცემული არგუმენტი ან არგუმენტები მოკლე, შეუსაბამო და/ან ბუნდოვანია.	ნაწერი, უმეტესწილად, არ არის ლოგიკურად და სტრუქტურულად თანმიმდევრული; წინადადებები ერთმანეთს ცუდად უკავშირდება.	ლექსიკა ერთფეროვანი და ძირითადად მარტივია. ხშირია სიტყვების არაადეკვატურად გამოყენების შემთხვევები.	დაშვებულია რამდენიმე მნიშვნელოვანი გრამატიკული შეცდომა, რაც ზოგ შემთხვევაში, აზრის გაგებას ხელს უშლის.
<b>1</b> <b>საშუალო ზე დაბალი</b>	<b>ნაწერი სუსტია:</b> საკითხი მხოლოდ გაკვრით არის განხილული; დებულებები მეორდება; აზრის მიყოლა ჭირს. არგუმენტები არ არის მოცემული ან გაუგებარია.	ნაწერი გაბმულად არ იკითხება; არ არის ლოგიკურად და სტრუქტურულად თანმიმდევრული.	გამოყენებულია უაღრესად მარტივი, შეზღუდული და/ან არაადეკვატური ლექსიკა.	გრამატიკული შეცდომები ხშირია, რაც ხელს უშლის აზრის გაგებას; გამოყენებულია უაღრესად მარტივი გრამატიკული სტრუქტურები.
<b>0</b> <b>ცუდი</b>	დავალების მოთხოვნას არ პასუხობს. ან დაწერილია ერთი ან ორი წინადადება.	ნაწერი სრულიად ალოგიკურია / არ იკითხება ან მეტისმეტად მარტივია.	სახეზეა მხოლოდ ერთმანეთთან დაუკავშირებელი და შეუსაბამო წინადადებები და/ან სიტყვები.	გრამატიკული შეცდომები დაშვებულია თითქმის ყოველ წინადადებაში. ნაწერი არ იკითხება.

**შეფასების სქემა მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდის ლაპარაკის ნაწილისთვის.**

**მაქსიმალური ქულა 16**

ქულა	გამოცდის მარაგი დავალებასთან	ლექსიკური მარაგი	გრამატიკული მრავალფეროვნება და სიზუსტე	წარმოთქმა
<b>4</b> <b>ძალიან კარგი</b>	<u>ლაპარაკობს ძალიან</u> კარგად, თავისუფლად და თანმიმდევრულად. დავალებებს პასუხობს სრულად და არგუმენტირებულად. საუბრობს პაუზების გარეშე. დროს იყენებს სრულად.	ლექსიკა მდიდარი და მრავალფეროვანია; შეცდომების რაოდენობა ძალიან მცირეა.	იყენებს რთულ და მრავალფეროვან გრამატიკულ სტრუქტურებს; შეცდომების რაოდენობა ძალიან მცირეა.	ბგერები სწორია; მახვილი, ინტონაცია და რიტმი - თანმიმდევრული . შეცდომების რაოდენობა მინიმალურია.
<b>3</b> <b>კარგი</b>	<u>ლაპარაკობს კარგად:</u> პასუხები არგუმენტირებულია, თუმცა ზოგ შემთხვევაში დარღვეულია ლოგიკური და/ან სტრუქტურული თანმიმდევრობა. საუბრობს შესამჩნევი პაუზების გარეშე.	ლექსიკა კარგია; პასუხობს მოთხოვნებს, თუმცა არის სიტყვების არაადეკვატურად გამოყენების რამდენიმე შემთხვევა.	იყენებს საშუალო სირთულის გრამატიკულ სტრუქტურებს; ზოგჯერ უშვებს გრამატიკულ შეცდომებს, თუმცა ეს ხელს არ უშლის აზრის გაგებას.	ბგერები, უმეტესწილად, სწორია; მახვილი, ინტონაცია და რიტმი, უმეტეს შემთხვევაში, თანმიმდევრული ა.
<b>2</b> <b>საშუალო</b>	<u>ლაპარაკობს საშუალოდ:</u> ლაპარაკი ზოგ შემთხვევაში, მოკლე, წყვეტილი და/ან არალოგიკურია. არგუმენტები სუსტია. ფრაზებს იმეორებს. დროს სრულად არ იყენებს.	ლექსიკა ერთფეროვანი და, ძირითადად, მარტივია. ხშირია სიტყვების არაადეკვატურად გამოყენების შემთხვევები.	მონაცემებით იყენებს მარტივ და საშუალო სირთულის გრამატიკულ სტრუქტურებს; გრამატიკულმა შეცდომებმა შეიძლება ხელი შეუშალოს აზრის გაგებას.	ბგერები, მახვილი და წარმოთქმის სხვა ელემენტები, უმეტესწილად, არ არის სწორი.
<b>1</b> <b>საშუალო დაბალი</b>	<u>ლაპარაკობს დაბალი:</u> დაზეპირებული ფრაზებით. პასუხი, უმეტესწილად, მოკლე, წყვეტილი, გაუგებარი და/ან არალოგიკურია. პასუხი არ არის არგუმენტირებული. დროს სრულად არ იყენებს.	ლექსიკა მეტად ერთფეროვანი, მარტივი და/ან არაადეკვატურია.	იყენებს მარტივ და/ან ერთფეროვან გრამატიკულ სტრუქტურებს; გრამატიკული შეცდომები, უმეტესწილად, ხელს უშლის აზრის გაგებას.	წარმოთქმის შეცდომები სისტემურია, რაც ხელს უშლის აზრის გაგებას.
<b>0</b> <b>ცუდი</b>	ლაპარაკობს გაუგებრად; ან ლაპარაკობს სხვა თემაზე ან დუმს.	სახეზეა შეუსაბამო ლექსიკა.	სახეზეა ერთმანეთთან დაუკავშირებელი და შეუსაბამო სიტყვები.	სწორად არ იყენებს წარმოთქმის არც ერთ ელემენტს.

## Mündlicher Teil

### Teil 1

Beantworten Sie folgende Fragen. Sie haben 10 Sekunden zum Nachdenken und 30 Sekunden für die Antwort. Nach jeder Frage hören Sie einen Signalton. Bitte sprechen Sie nach dem Signalton

**Frage 1:** Was ist Ihre Lieblingsspeise? Was essen Sie gern und warum?

Sie haben 10 Sekunden zum Nachdenken und 30 Sekunden für die Antwort. Bitte sprechen Sie nach dem Signalton

**Frage 2:** Welche Filme schauen Sie am liebsten und warum?

Sie haben 10 Sekunden zum Nachdenken und 30 Sekunden für die Antwort. Sprechen Sie nach dem Signalton

### Teil 2

Sie hören zuerst die Aufgabe, dann haben Sie 1 Minute Zeit zum Nachdenken. Für die Antwort haben Sie 2 Minuten.

**Beschreiben Sie das Haus oder die Wohnung, wo Sie Ihre Kindheit verbracht haben.**

- Wie sah es/sie aus.
- Woran erinnern Sie sich am besten.
- Äußern Sie sich frei zu diesem Thema.

Zum Nachdenken haben Sie 1 Minute Zeit.

Zum Sprechen haben Sie 2 Minuten Zeit.

Sie können auch Notizen machen.

Sprechen Sie nach dem Signalton.

### Teil 3

Hören Sie zwei Aussagen und beantworten Sie die Fragen. Für die Vorbereitung haben Sie 30 Sekunden Zeit. Für jede Antwort haben Sie 1 Minute.

#### Aussage 1

Ihre Freunde haben einen zehnjährigen Sohn, Sandro. Der Vater findet, dass Sandro mehr Zeit am Computer verbringen sollte, damit er sich besser informiert. Die Mutter aber möchte, dass er mehr liest. Was würden Sie ihnen empfehlen und warum? Argumentieren Sie Ihre Meinung.

Sie haben 1 Minute für die Antwort. Sprechen Sie nach dem Signalton.

#### Aussage 2

Ihr Bruder hat bald Geburtstag. Ihre Eltern möchten ihm ein gemeinsames Geschenk machen. Die Mutter ist für einen Computer, der Vater aber möchte ihm ein Fahrrad kaufen. Ihre Eltern können sich nicht einigen. Was würden Sie ihnen empfehlen und warum? Argumentieren Sie Ihre Meinung.

Sie haben 1 Minute für die Antwort. Sprechen Sie nach dem Signalton.

## პასუხების მონიშვნის ინსტრუქცია

### პასუხების მონიშვნისას

- პასუხების ფურცელზე მოძებნეთ დავალების შესაბამისი ნომერი.
- თქვენ მიერ არჩეული პასუხი აღნიშნეთ X ნიშნით. მაგალითად, თუკი მე-3 საკითხის პასუხად აირჩიეთ B პასუხის ვარიანტი, მაშინ, პასუხების ფურცელზე უნდა მოძებნოთ მე-3 საკითხის დავალების რიგი და ამ რიგში, პასუხის (B) სვეტის შესატყვის უჯრაში დასვათ X ნიშანი. (იხ. ნიმუში).

### გაითვალისწინეთ:

- თქვენ მიერ არჩეული პასუხის სწორად მონიშვნის ერთადერთი გზა სათანადო უჯრაში X ნიშნის დასმაა.
- დასაშვებია, რომ X ნიშანი გამოსცდეს თეთრ უჯრას (იხ. ნიმუში), მაგრამ იგი არ უნდა იყოს უჯრაზე მოკლე.
- თითოეული საკითხის შესაბამის რიგში უნდა მონიშნოთ მხოლოდ ერთი პასუხი, ანუ მხოლოდ ერთ უჯრაში დასვით X ნიშანი. თუ რიგში ერთზე მეტ X ნიშანს დასვამთ, ამ საკითხის არც ერთი პასუხი არ ჩაითვლება სწორად.
- თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი, და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). ელექტრონული პროგრამა არჩეულ პასუხად მხოლოდ X ნიშნიან უჯრას აღიქვამს (იხ. ნიმუში, საკითხი 2 და 3).
- შეუძლებელია ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადასწორეთ. (ანუ ის პასუხი, რომლის შესაბამისი უჯრა უკვე მთლიანად გააფერადეთ.) ამიტომ გადასწორების წინ დაფიქრება გმარდებთ.

	A	B	C	D	E	F
1	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

### პასუხის ჩაწერისას:

- პასუხების ფურცელზე, დავალების შესაბამისი ნომრის გასწორივ სპეციალურად გამოყოფილ ადგილას, ჩაწერეთ თქვენი პასუხი.
- შესაძლებელია პასუხის გადასწორება (არასწორი პასუხის გადახაზვა და გვერდზე სწორი პასუხის დაწერა).
- თქვენი პასუხი არ უნდა გასცდეს დავალებისათვის გამოყოფილ არეს.

საგამოცდო ტესტის ნიმუში

გერმანული ენა

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 4 საათი.

## HÖRVERSTEHEN

### Aufgabe 1

- Sie hören ein Radiointerview zum Thema " Mobbing in der Schule". Schreiben Sie in jede Lücke das entsprechende Wort.
- Sehen Sie sich die Aufgaben an. Dafür haben Sie 45 Sekunden Zeit. Sie hören das Interview zweimal.

1. Frau Müller ist ..... von Beruf.
2. Unter „Mobbing“ versteht man .....
3. Hauptsächlich kennt man ..... Arten von Mobbing.
4. Außer der körperlichen und verbalen Gewalt gibt es auch das ..... Mobbing.
5. Schon im jungen Alter achten die Schüler auf die .....
6. Der Sohn von Frau Müller wurde mit ..... Jahren Mobbingopfer.
7. Die ..... machten Franz` Sachen ständig kaputt.
8. Franz hatte oft Angst ..... das Haus zu verlassen.
9. Immer, wenn es an der Tür ..... , bekam Franz Angst.
10. Frau Müller hat ihren Sohn in einem ..... angemeldet.
11. Einmal drohte Frau Müller sogar mit der .....
12. Frau Müller sagt, dass ihr Sohn die ..... schon absolviert hat.

## HÖRVERSTEHEN

### Aufgabe 2

- Sie hören vier kurze Texte zum Thema "Mein Sonntag". Sehen Sie sich erst die Aufgaben an. Dafür haben Sie 30 Sekunden Zeit. Sie hören die Texte zweimal.
- Lesen Sie jetzt die Aussagen A-F.
- Wer sagt was? Markieren Sie die entsprechende Aussage.
- Jede Aussage soll nur einmal verwendet werden. Zwei Aussagen sind zu viel.

- A. Gemeinsame Mahlzeiten am Sonntag schätze ich besonders.
- B. Die Familie geht sonntags gemeinsam aus.
- C. Ich muss arbeiten, wenn die anderen frei haben.
- D. Sonntags gehe ich Freunde besuchen.
- E. Mein Sonntag sieht recht sportlich aus.
- F. Sonntags isst die ganze Familie in einem Restaurant zu Mittag.

Sprecher 1	A	B	C	D	E	F
Sprecher 2	A	B	C	D	E	F
Sprecher 3	A	B	C	D	E	F
Sprecher 4	A	B	C	D	E	F

## LESEVERSTEHEN

### Aufgabe 3

- Füllen Sie die Lücken (1-6) mit den unten angegebenen Sätzen (A-H).
- Jeder Satz darf nur einmal verwendet werden. Zwei Sätze sind zu viel.

### Mahatma Gandhi

Mahatma Gandhi wurde am 2. Oktober 1869 im indischen Staat Gujarat geboren. Er war der Sohn einer wohlhabenden Familie, die der Händlerkaste und damit der Gruppe der Kaufleute angehörte. Der hinduistische Glaube teilt die Menschen in vier Kasten, sowie die Kastenlosen - die "Unberührbaren" - ein. .... 1.

Gandhis Eltern waren fromme Hindus. Als junger Mann hatte Gandhi den Wunsch, in London Jura zu studieren und Rechtsanwalt zu werden. Seine Familie hatte Bedenken, dass Gandhi im Ausland nicht "rein" leben könne - also die strengen Auflagen der Hindu-Religion nicht einhalten würde. Die Kaste verbot ihm das Studium.

1888 begann er trotzdem sein Jurastudium in London. .... 2. Neben dem Studium beschäftigte er sich intensiv mit den Religionen Hinduismus, Christentum und Islam. Nach seinem Studium kehrte Gandhi nach Indien zurück. Aber er war immer noch von einem Teil seiner Kaste ausgeschlossen. .... 3. So folgte er dem Angebot eines Freundes der Familie, in Südafrika beratender Anwalt einer Wirtschaftsgesellschaft zu werden. Hier erlebte er, wie die Weißen die Minderheit der in Afrika lebenden Inder diskriminierten: Gandhi wurde beim Friseur nicht bedient, .... 4. , nach 21 Uhr durfte er nicht mehr ohne Genehmigung des Arbeitgebers das Haus verlassen. Beruflich erfolgreich, engagierte er sich in der indischen Gemeinde und organisierte regelmäßige Treffen, bei denen er seine ersten Reden gegen die Diskriminierung der Inder hielt.

Das Handeln Gandhis war von seinen religiösen Überzeugungen bestimmt. Im Jahr 1914 kehrte Gandhi nach Indien zurück. Im Kampf um die Rechte der Inder in Südafrika hatte er sich bereits einen Namen gemacht. .... 5. So nannte ihn das indische Volk "Mahatma" - "große Seele".

Viele ungerechte Gesetze verhinderten, dass die Inder ein gleichberechtigtes Leben führen und frei wirtschaften konnten. Land und Volk wurden von den Briten ausgebeutet. Gandhi kündigte 1920 den gewaltlosen Widerstand gegen die britische Herrschaft an. Die britischen Stoffe sollten boykottiert werden. Auf Reisen durch das ganze Land rief Gandhi dazu auf, zu Hause Spinnräder zu benutzen und selbst Stoffe herzustellen. Er selbst ging als gutes Beispiel voran. Gandhi, der in jungen Jahren die Kleidung der Briten getragen hatte, bekleidete sich nur noch mit einem einfachen traditionell indischen Tuch. Gandhi fastete regelmäßig und lebte sehr sparsam ohne jeden Luxus. .... 6. Als Symbol der wirtschaftlichen und politischen Unabhängigkeit Indiens ziert das Spinnrad die Nationalflagge des Landes.

- A. Deshalb wurde er von der Kaste ausgeschlossen.
- B. Damals gab es in der Gesellschaft mehrere Kasten.
- C. Er arbeitete selbst am Spinnrad, um Wolle für die Stoffe zu spinnen.
- D. Diese leben gesellschaftlich abgegrenzt und verrichten die niederen Arbeiten.
- E. Jetzt war er auch in Indien sehr berühmt und beliebt.
- F. Er konnte zu Hause nicht als Rechtsanwalt arbeiten.
- G. Diese Stoffe konnte man nur in England kaufen.
- H. Er durfte im Gerichtssaal keinen Turban tragen.

## **LESEVERSTEHEN / WORTBILDUNG**

### **Aufgabe 4**

- **Lesen Sie den folgenden Text.**
- **Formen Sie die in Klammern gegebenen Wörter um.**

#### **Bringt Geld Glück?**

